საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU
თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. 84 • 84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia • Tel.\Fax: (995 32) 290487, 234255 • E-mail:mail@forensicslab.ge

№ 20/01/19-341 "27" თებერვალი 2007წ.

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის
ცენტრის ადვოკატს ბატონ ი. ნატროშვილს

2006 წლის 12 დეკემბრის №133/01-6 წერილობითი მომართვის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიურ განყოფილებაში, ჩვენს ხელთ არსებული საინფორმაციო ბანკის მონაცემებით, პოლიციის თანამშრომელთა მიერ ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტის დადგენის მიზნით წარმოდგენილი იქნა 5300 მოქალაქე, მათგან 4140-ს დაუდგინდა სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

აღნიშნულ ინფორმაციას გაწვდით ყოველთვიური მონაცემების სახით:

| წარმოდგენის თვე | წარმოდგენილია | დაუდგინდა |
|---|---|---|
| 1. იანვარი | 289 | 213 |
| 2. თებერვალი | 336 | 256 |
| 3. მარტი | 360 | 292 |
| 4. აპრილი | 244 | 186 |
| 5. მაისი | 345 | 271 |
| 6. ივნისი | 444 | 348 |
| 7. ივლისი | 445 | 351 |
| 8. აგვისტო | 532 | 409 |
| 9. სექტემბერი | 819 | 615 |
| 10. ოქტომბერი | 1385 | 1126 |
| 11. ნოემბერი | 101 | 73 |
| 12. დეკემბერი | 0 | 0 |
| სულ: | 5300 | 4140 |

ბიუროს უფროსი

მამუკა მამალაძე

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო**
**ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ა**

0114, თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. № 10

№ 7/2-901

« 05 » 03 « 2007 წ.

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის

ადვოკატს

ბატონ იოსებ ნატროშვილს

მისამართი: თბილისი, მიტროფანე ლაღიძის ქ. №3

ბატონო იოსებ,

თქვენი 19.02.07 წლის №009/01-16 წერილის პასუხად, შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს დაქვემდებარებულ შესაბამის განყოფილებებში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით 2006 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში წარდგენილი იყო 7649 გამოსაკვლევი პირი, აქედან დადებითი დასკვნა გაიცა 3983 გამოსაკვლევ პირზე, ხოლო უარყოფითი დასკვნა გაიცა 3666 გამოსაკელევ პირზე. შემოწმებაზე უარი განაცხადა 134 გამოსაკვლევმა პირმა.

**პატივისცემით,**

**ნიკოლოზ ძიმცეიშვილი**

**ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე**